სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

ივნისი №12

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საბაჟო საზღვარზე და საბაჟო კანონმდებლობაში ტერმინებით
- კითხვა-პასუხები

2019

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
*registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009*

Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
naziko gomelauri
Technical Editor: Naziko Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elguja qavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
ChairmanC: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikviladZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~
registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI"
(Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE67TB332136020100005
mimRebis banki: s.s `Tibisi~ banki
bankis kodi: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
BANK KODE - TBCBGE22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSi erTxel, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4 **ISSN 1987-9156**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / **Table of contents**

oficialuri dokumentebi / **Formal documents**

oficialuri dokumentebi ---------- 5-55

instruqcia / **Instructions** ---------- 54

Semosavlebis samsaxuris brZaneba / **Revenue Service command** ----
---------- 55-58

gadasaxadebi #12, 2019

GADASAKHADEBI #12, 2019

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №48, 09.08.2010, მუხ. 312) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის „უ[2]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„უ[2]) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა – საძოვრის, სათიბის, სახნავის (მათ შორის, მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული) ან საკარმიდამოს კატეგორიის მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოიყენება ან რომლის გამოყენებაც შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, მასზე არსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე;“.

2. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზება საქართველოს მოქალაქისთვის ან საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირისთვის შესაძლებელია „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, სასყიდლით, ხოლო საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისა და უსახლკაროდ დარჩენილი საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც ცხოვრობდნენ ან ცხოვრობენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, – უსასყიდლოდ.“.

3. მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის:

ა) 1[1] პუნქტი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„1[1]. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს შეუძლია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შეიძინოს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა“, „ბ.ბ“ ან „ბ.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პრივატიზების ფორმით.“;

ბ) მე-9 პუნქტი:

„9. დაუშვებელია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვა მიწის ნაკვეთის კატეგორიის განსაზღვრის გარეშე.“.

მუხლი 2

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2020 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 25 ივნისი 2019 წ.

N4852-IIს

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-200 მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა:

ა) სახნავი (მათ შორის, მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული);

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ზ) სათიბი;

გ) საძოვარი;

დ) საკარმიდამო.“.

2. 204-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სახნავისათვის (მათ შორის, მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული) და საკარმიდამოსათვის:

ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	საბაზისო განაკვეთი (ლარი/ჰა)
	სახნავი და საკარმიდამო
1. თბილისი (გარდა თბილისის დასახლებებისა (სოფლებისა), მარნეული	100
2. ბოლნისი, გარდაბანი, თბილისის დასახლებები (სოფლები): წავკისი, კოჯორი, ტაბახმელა, შინდისი, დიდება, კვესეთი, საბადლო, კიკეთი, წასაგურალი, ახალდაბა, დიდი ლილო, ვარკეთილი	95
3. რუსთავი, ბათუმი, გაგრა, გალი, გუდაუთა, გულრიფში, ოჩამჩირე, სოხუმი, ტყვარჩელი	94
4. ქობულეთი, ხელვაჩაური, გურჯაანი, დედოფლისწყარო	87
5. თელავი, ლაგოდეხი, სიღნაღი	86
6. ყვარელი, გორი, მცხეთა, ახმეტა, დმანისი, ერედვი, თიღვი, თბილისის დასახლებები (სოფლები): დიღომი, მშრალხევი, დაბა ზაჰესი, გლდანი, დიდგორი, ზურგოვანა, თელოვანა, ძველი ვეების, აგარაკი, თხინვალი, სოფელ გლდანიდან ავჭალის დასახლებამდე – საბაღე ნაკვეთები, გიორგიწმინდა – საბაღე ნაკვეთები, ბუხიანის მიმდებარე საბაღე ნაკვეთები, ხევძმარის მიმდებარე „ავშიანის“ დასახლება, ლოტკინის დასახლება – სანერგე მეურნეობა, რესის მიმდებარე დასახლება, თბილისის ზღვის არსებული დასახლება	82

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

7. კასპი, თეთრი წყარო, სამტრედია	81
8. საგარეჯო, ქარელი, ხაშური	79
9. ქურთა, წალკა	77
10. აბაშა, ზუგდიდი	77
11. ახალქალაქი, ახალციხე	77
12. მარტვილი, სენაკი, ხობი, ფოთი	76
13. ნინოწმინდა	76
14. ახალგორი, ვანი, ზესტაფონი, ლაგჩხუთი, ოზურგეთი	73
15. ბაღდათი, თერჯოლა, ხონი, ქუთაისი	71
16. წალენჯიხა, წყალტუბო, ჩხოროწყუ	67
17. საჩხერე, ცაგერი, ცხინვალი	65
18. აბაშოლაური, დუმეთი, თიანეთი, ადიგენი, ბორჯომი	61
19. ასპინძა, ტყიბული, ხულო, ქედა	60
20. შუახევი, ხარაგაული, ჭიათურა, ლენტეხი, ონი, ჩოხატაური, მესტია, სტეფანწმინდა, ჯავა	56

ბ) სათიბისა და საძოვრისათვის:

ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	საბაზისო განაკვეთი (ლარი/ha)	
	სათიბი	საძოვარი
1. აბაშა, ახალქალაქი, გორი, ბათუმი, ბოლნისი, გაგრა, გალი, გარდაბანი, გუდაუთა, გულრიფში, გურჯაანი, დმანისი, ზუგდიდი, თბილისი, თეთრი წყარო, თელავი, ლაგოდეხი, ლაგჩხუთი, მარნეული, მცხეთა, ნინოწმინდა, ოზურგეთი, ოჩამჩირე, რუსთავი, სამტრედია, სენაკი, სიღნაღი, სოხუმი, ქუთაისი, ქობულეთი, ყვარელი, წალკა, წყალტუბო, ხელვაჩაური, ხობი, ფოთი	20	16
2. დედოფლისწყარო	20	7
3. ადიგენი, ასპინძა, ახალგორი, ბაღდათი, ბორჯომი, ვანი, ზესტაფონი, თერჯოლა, თიანეთი, კასპი, მარტვილი, საგარეჯო, საჩხერე, ტყიბული, ქარელი, ქედა, შუახევი, ჩოხატაური, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, ხარაგაული, ხაშური, ხონი, ხულო, ახალციხე	19	15
4. აბაშოლაური, დუმეთი, ლენტეხი, მესტია, ონი, ყაზბეგი, ცაგერი, ცხინვალი, ჭიათურა, ჯავა	16	10
5. ახმეტა	16	5

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 25 ივნისი 2019 წ.

N4854-IIს

საქართველოს კანონი

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 05.08.2013, სარეგისტრაციო კოდი: 240070000.05.001.017022) მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საოჯახო მეურნეობების განვითარება, მათი კოოპერირება და სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერება;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 25 ივნისი 2019 წ.

N4855-IIს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №29-30/5, 11 დეკემბერი, 1996, გვ. 6) მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. მიწასა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე ქონებრივი უფლების მოპოვება

მიწასა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე ქონებრივი უფლების, აგრეთვე ბუნებრივი რესურსების გადამუშავებისა და ათვისების უფლების მოპოვება წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონით, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონით, „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო

აქტებით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 25 ივნისი 2019 წ.

N4856-IIს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №43, 30.10.1997, გვ. 11) მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა – საძოვრის, სათიბის, სახნავის (მათ შორის, მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული) ან საკარმიდამოს კატეგორიის მიწა, რომელიც გამოიყენება ან რომლის გამოყენებაც შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, მასზე არსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 25 ივნისი 2019 წ.

N4857-IIს

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 17.06.2016, სარეგისტრაციო კოდი: 040150000.05.001.018150) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ვ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი – საძოვრის, სათიბის, სახნავის (მათ შორის, მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული) ან საკარმიდამოს კატეგორიის მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოიყენება ან რომლის გამოყენებაც შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, მასზე

არსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 25 ივნისი 2019 წ.

N4858-IIს

საქართველოს კანონი

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994, №№21–22, მუხ. 455) პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტებზე ამ კანონით დადგენილ წესებთან ერთად ვრცელდება „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ **საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული მოთხოვნები.**“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 25 ივნისი 2019 წ.

N4859-IIს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 09.08.2018, სარეგისტრაციო კოდი: 440050000.05.001.019090) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებიდან – სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტიდან, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან და საგამოძიებო დეპარტამენტიდან დათხოვნილ სამხედრო წოდების ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს, იმავე სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან დათხოვნილ, ზევადიან სამხედრო წოდების ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირებს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის თანამდებობებიდან განთავისუფლებულ სპეციალური წოდების მქონე პირებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებიდან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან, საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებიდან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატიდან დათხოვნილ სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს;“.“;

ბ) მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებიდან – სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან დათხოვნილ პირთა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებიდან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან და საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებიდან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან დათხოვნილ სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირთა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტიდან, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან და საგამოძიებო დეპარტამენტიდან და იმავე სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან დათხოვნილ პირთა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირთა, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის თანამდებობებიდან განთავისუფლებულ სპეციალური წოდების მქონე პირთა და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატიდან დათხოვნილ სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირთა კომპენსაციის გაანგარიშება“;“.

2. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2019 წლის 1 ოქტომბრიდან.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 28 ივნისი 2019 წ.

N4895-IIს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 09.08.2018, სარეგისტრაციო კოდი: 010320000.05.001.019086) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2019 წლის 1 ოქტომბრიდან.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 28 ივნისი 2019 წ.

N4899-IIს

საქართველოს კანონი

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 09.08.2018, სარეგისტრაციო კოდი: 010320000.05.001.019087) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2019 წლის 1 ოქტომბრიდან.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 28 ივნისი 2019 წ.

N4904-IIს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №279

2019 წლის 12 ივნისი, ქ. თბილისი

„პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/09/2013, 430030000.10.003.017410) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. **სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“.

2. **2^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 2^1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულების საფასურის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი მაქსიმალური ოდენობა დამტკიცდეს ამ დადგენილების დანართ №3-ის შესაბამისად.“.

3. **დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების“:**

ა) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საქართველოს მთავრობის მიერ სამინისტროს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წარდგინებით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) 8^1 მუხლის:

ბ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ წესის მე-5 მუხლით განსაზღვრული საგანმანათლებლო დაწესებულება (გარდა იმავე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დაწესებულებისა) ამტკიცებს მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფასურს, რომელიც განისაზღვრება ამ დადგენილების №3 დანართით განსაზღვრული შესაბამისი მოდულების საფასურის (შემდგომში – მოდულის საფასური) ჯამური ღირებულებით. ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფასურის დადგენისას, უფლებამოსილია, პროგრამის საფასური განსაზღვროს შესაბამისი მოდულების საფასურის ჯამური ღირებულებისგან განსხვავებული ოდენობით. ამ შემთხვევაში, სამინისტრო მოდულის ვაუჩერულ დაფინანსებას განახორციელებს არაუმეტეს ამ პროგრამაში შემავალი მოდულების საფასურების ჯამური ღირებულების ოდენობით.“;

ბ.ბ) 1^1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ბ^1$“ ქვეპუნქტი:

„$ბ^1$) ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, პროგრამის შემადგენელი იმ მოდულების, რომელთა ერთი სწავლის შედეგი მაინც მიიღწევა ამ დაწესებულებაში, საფასური დაადგინოს ამ მოდულის საფასურის ღირებულებისგან განსხვავებული ოდენობით. ამ შემთხვევაში, სამინისტრო მოდულის ვაუჩერულ დაფინანსებას განახორციელებს არაუმეტეს მოდულის საფასურის მაქსიმალური ოდენობით;“;

ბ.გ) 1^1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ამ პუნქტის „ბ“ ან „$ბ^1$“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოდულის საფასურიდან გამოიანგარიშებს ამ მოდულის ფარგლებში დაწესებულებაში მისაღწევი სწავლის შედეგების ღირებულებას, თითოეული სწავლის შედეგისთვის მინიჭებული კრედიტების პროპორციულად, შემდეგი პრინციპით: ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებაში მისაღწევი სწავლის შედეგის კრედიტი შეეფარდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულის მთლიან კრედიტს და მრავლდება ამ პუნქტის „ბ“ ან „$ბ^1$“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულის საფასურზე;“;

გ) 9^2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულებებისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ერთი პროფესიული სტუდენტის სწავლების ხელშეწყობისათვის ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების გაზრდილი ოდენობა იანგარიშება ამ წესის მე-9 და 9^1 მუხლებით გაანგარიშებულ ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების პირველად და კვარტალურ ოდენობას დამატებული 1000.0 ლარით. სპეციალური საგანმანათლებლო

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საჭიროების ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ერთი პროფესიული სტუდენტის სწავლების ხელშეწყობისათვის ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების ოდენობის გაზრდის საჭიროება უნდა დასტურდებოდეს ექსპერტთა გუნდის დასკვნით.";

დ) მე-18 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების მიღებაზე უფლებამოსილნი არიან შემდეგი დაწესებულებები:

ა) სამინისტროს სისტემაში შემავალი:

ა.ა) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები;

ა.ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები;

ბ) საქართველოს მთავრობის მიერ სამინისტროს წარდგინებით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;

გ) იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია, განახორციელოს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამები და კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უფლებამოსილია, განახორციელოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა"."."

4. **დადგენილებით დამტკიცებული დანართ №3-ის**:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულების საფასურის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი მაქსიმალური ოდენობა";

ბ) პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულების საფასურის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი მაქსიმალური ოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად:";

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) ცხრილის 1842-ე გრაფის შემდგომ დაემატოს 1843 – 1979 გრაფები და ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

1. დადგენილება, გარდა პირველი მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2019 წლის 3 ივნისიდან.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

დანართი

№	მოდულების დასახელება	მოდულის კოდი	მოდულის ტიპი	ახალი მოდულის ფასი
1843	ბაღში ჩასატარებელი აგროტექნიკური ღონისძიებები	0811104	საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდული	49
1844	გაცნობითი პრაქტიკა - ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება	0212101	პროფესიული მოდული	52
1845	პრაქტიკული პროექტი - ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება	0212102	პროფესიული მოდული	3792
1846	ფეხსაცმლისა და აქსესუარების კომპოზიცია	0212104	პროფესიული მოდული	225
1847	ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობებისათვის მასალების გამოჭრის საფუძვლები	0212105	პროფესიული მოდული	322
1848	ნავისებური ფეხსაცმლისა და ნახევარწაღის კონსტრუირება	0212106	პროფესიული მოდული	310
1849	ჩექმისა და წაღის კონსტრუირება	0212107	პროფესიული მოდული	276
1850	ტყავის აქსესუარების კონსტრუირება	0212108	პროფესიული მოდული	222
1851	ფეხსაცმლის ნამზადის კერვის ტექნოლოგია	0212109	პროფესიული მოდული	454
1852	ფეხსაცმლის დამზადების ტექნოლოგია	0212110	პროფესიული მოდული	1205
1853	ტყავის აქსესუარების ტექნოლოგია	0212111	პროფესიული მოდული	570
1854	ფეხსაცმლის სამომხმარებლო თვისებების ხარისხის კონტროლი	0212112	პროფესიული მოდული	119
1855	ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა შეკეთება	0212113	პროფესიული მოდული	928
1856	საუნაგირე ტყავის დეტალების დამზადება	0212114	პროფესიული მოდული	144
1857	აკადემიური ხატვისა და ფერწერის საწყისები (მებაღეობაში)	0212301	საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდული	235
1858	საფეიქრო მასალათმცოდნეობის საწყისები	0212614	საერთო პროფესიული მოდულები	55

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1859	ფარდაგის ქსოვა 2	0212606	პროფესიული მოდული	311
1860	ხალიჩის ქსოვა 2	0212607	პროფესიული მოდული	340
1861	გობელენის ქსოვა 2	0212608	პროფესიული მოდული	340
1862	ყაისნაღითა და ჩხირებით ქსოვა 2	0212609	პროფესიული მოდული	350
1863	მხატვრული ტრიკოტაჟის ქსოვა 2	0212610	პროფესიული მოდული	307
1864	პრაქტიკული პროექტი - მხატვრული ნაქსოვის შესრულება	0212611	პროფესიული მოდული	242
1865	გაცნობითი პრაქტიკა - მხატვრული ქსოვილები	0212612	საერთო პროფესიული მოდულები	56
1866	საფეიქრო მასალის ღებვა	0212615	საერთო პროფესიული მოდულები	353
1867	ქსოვილის მხატვრული მოხატვა (ბატიკა, შიბორი, დაჩითვა)	0212616	საერთო პროფესიული მოდულები	719
1868	სარჩილავი სადგურის გამოყენება	0710321	კონცენტრაცია - ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება - მოდული	46
1869	ავტომატური და ვარიატორული გადაცემათა კოლოფების ელექტრონული სისტემების სერვისი	0711301	კონცენტრაცია - ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება - მოდული	485
1870	ბენზინსა და აირის საწვავზე მომუშავე ძრავას ელექტრონული ანთების სისტემის სერვისი	0711303	კონცენტრაცია - ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება - მოდული	473
1871	გათბობა-კონდიცირების ელექტრული და ელექტრონული სისტემების სერვისი	0711304	კონცენტრაცია - ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება - მოდული	478
1872	დაკიდების ელექტრონული მართვის სისტემის სერვისი	0711305	კონცენტრაცია - ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება - მოდული	445
1873	დამუხტვა-გამვების სისტემის სერვისი	0711306	კონცენტრაცია - ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება - მოდული	566
1874	მექანიკურ გადაცემათა კოლოფების, გადაბმულობის და გამანაწილებელი კოლოფების ელექტრონული მართვის სისტემის სერვისი	0711307	კონცენტრაცია - ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება - მოდული	439
1875	საჭის მექანიზმის ელექტრონული მართვის სისტემების სერვისი	0711308	კონცენტრაცია - ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება - მოდული	441
1876	ძრავას ჰაერით და საწვავით კვების ელექტრული და ელექტრონული სისტემების სერვისი	0711309	კონცენტრაცია - ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება - მოდული	516
1877	ძრავას შეზეთვა-გაგრილების ელექტრონული სისტემის სერვისი	0711310	კონცენტრაცია - ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება - მოდული	447
1878	უსაფრთხოებისა და გატაცების საწინააღმდეგო სისტემების სერვისი	0711311	კონცენტრაცია - ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება - მოდული	480

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1879	ავტომობილის სამუხრუჭე სისტემის ელექტრონული მართვის სერვისი	0711313	კონცენტრაცია - ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება - მოდული	485
1880	საგზაო მომრაობის წესები	0711324	არჩევითი მოდული	43
1881	საზეინკლო საქმის საფუძვლები	0711329	საერთო პროფესიული მოდული	481
1882	დაკიდების სისტემის საჭით მართვის და სამუხრუჭე სისტემის კლასიფიკაცია	0711906	პროფესიული მოდული	99
1883	ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები	0711907	პროფესიული მოდული	56
1884	ტრანსმისიის კლასიფიკაცია	0711908	პროფესიული მოდული	66
1885	შიდაწვის ძრავების კლასიფიკაცია	0711909	პროფესიული მოდული	88
1886	ელექტრო და ჰიბრიდული ავტომობილების სერვისი	0711912	კონცენტრაცია - ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება - მოდული	591
1887	სათადარიგო ნაწილების შერჩევა	0711913	არჩევითი მოდული	508
1888	ელექტროტექნიკური ნახაზების წაკითხვა	0711921	კონცენტრაცია - ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება - მოდული	260
1889	ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია	0711923	საერთო პროფესიული მოდული	55
1890	ზოგადი ელექტროტექნიკის საფუძვლები	0711924	საერთო პროფესიული მოდული	108
1891	შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა	0711925	საერთო პროფესიული მოდული	237
1892	დამკვეთთან ურთიერთობა	0711926	საერთო პროფესიული მოდული	55
1893	გაცნობითი პრაქტიკა - ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისები	0711927	საერთო პროფესიული მოდული	65
1894	სამუშაო ადგილის გამოკვლევა	0730906	არჩევითი მოდული საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციაში	70
1895	გაცნობითი პრაქტიკა-სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია	0730922	პროფესიული მოდული - სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია	56
1896	საწარმოო პრაქტიკა-სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია	0730923	პროფესიული მოდული - სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია	18

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1897	პრაქტიკული პროექტი- სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია	0730924	პროფესიული სანტექნიკის ექსპლუატაცია მოდული - სისტემების	299
1898	სამშენებლო ნახაზების კითხვა და სამშენებლო-სანტექნიკური სქემების შედგენა	0730925	პროფესიული სანტექნიკის ექსპლუატაცია მოდული - სისტემების	135
1899	შრომის უსაფრთხოება და საწარმოო სანიტარია საზეინკლო საქმეში	0730926	პროფესიული სანტექნიკის ექსპლუატაცია მოდული - სისტემების	134
1900	საზეინკლო სამუშაოები სანტექნიკოსის საქმიანობაში	0730927	პროფესიული სანტექნიკის ექსპლუატაცია მოდული - სისტემების	630
1901	შიდაწყალარინება	0730928	პროფესიული სანტექნიკის ექსპლუატაცია მოდული - სისტემების	214
1902	გარეწყალარინება	0730929	პროფესიული სანტექნიკის ექსპლუატაცია მოდული - სისტემების	209
1903	წყალმომარაგების ელემენტები	0730930	პროფესიული სანტექნიკის ექსპლუატაცია მოდული - სისტემების	198
1904	შიდა წყალმომარაგების ქსელების მოწყობა	0730931	პროფესიული სანტექნიკის ექსპლუატაცია მოდული - სისტემების	230
1905	გარე წყალმომარაგების ქსელების მოწყობა	0730932	პროფესიული სანტექნიკის ექსპლუატაცია მოდული - სისტემების	187

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1906	თბომომარაგება	0730933	პროფესიული მოდული - სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია	207
1907	ჰელიოსისტემა	0730934	პროფესიული მოდული - სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია	379
1908	გაზმომარაგების ძირითადი ელემენტები	0730935	არჩევითი მოდული საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციაში	1152
1909	მასალები, ხელსაწყოები და ტექნიკაწყალმომარაგებისა და წყალარინების მაგისტრალების მშენებლობაში	0730936	არჩევითი მოდული საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციაში	757
1910	გეოდეზიის საფუძვლები	0731902	პროფესიული მოდული	119
1911	გაცნობითი პრაქტიკა მშენებლობის წარმოებაში	0732002	საერთო პროფესიული მოდული	40
1912	მშენებლობის საფუძვლები	0732003	საერთო პროფესიული მოდული	39
1913	სამშენებლო ნახაზების კითხვა	0732004	საერთო პროფესიული მოდული	101
1914	ქვით კედლის მოპირკეთების სამუშაოები	0732010	კონცენტრაცია - ქვის სამუშაოების წარმოების მოდული	317
1915	ზღუდარების, თაღებისა და კამრების მოწყობა	0732011	კონცენტრაცია - ქვის სამუშაოების წარმოების მოდული	270
1916	კედლებისა და ტიხრების წყობა კერამიკული აგურით	0732012	კონცენტრაცია - ქვის სამუშაოების წარმოების მოდული	232
1917	სწორი ფორმის ბუნებრივი და ხელოვნური ქვის წყობა	0732013	კონცენტრაცია - ქვის სამუშაოების წარმოების მოდული	300
1918	ქვის კონსტრუქციების წყობის აღდგენა	0732014	კონცენტრაცია - ქვის სამუშაოების წარმოების მოდული	186
1919	ყორე და ყორებეტონის კედლის მოწყობა	0732015	კონცენტრაცია - ქვის სამუშაოების წარმოების მოდული	182
1920	ასაწყობი იატაკის მონტაჟი	0732021	კონცენტრაცია - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის მოდული	329
1921	კედლის კონსტრუქციის მონტაჟი	0732022	კონცენტრაცია - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის მოდული	454
1922	მრუდწირული კონსტრუქციების აგება	0732023	კონცენტრაცია - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის მოდული	632
1923	ტიხრების კონსტრუქციის მონტაჟი	0732024	კონცენტრაცია - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის მოდული	418
1924	შეკიდული ჭერებისა და მანსარდის მონტაჟი	0732025	კონცენტრაცია - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის მოდული	654

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1925	დეკორატიული ელემენტების გამოყენება/ დანაფარების დატანა	0732026	კონცენტრაცია - სამღებრო სამუშაოების შესრულების მოდული	169
1926	ექსტერიერში და ინტერიერში დეკორატიული დანაფარების დატანა	0732027	კონცენტრაცია - სამღებრო სამუშაოების შესრულების მოდული	630
1927	თბოსაიზოლაციო და ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები	0732028	კონცენტრაცია - სამღებრო სამუშაოების შესრულების მოდული	3283
1928	ინტერიერისა და ექსტერიერის დამუშავება, დაგრუნტვა და შეღებვა	0732029	კონცენტრაცია - სამღებრო სამუშაოების შესრულების მოდული	308
1929	ინტერიერში შპალერის გაკვრა	0732030	კონცენტრაცია - სამღებრო სამუშაოების შესრულების მოდული	268
1930	სხვადასხვა ზედაპირების დამუშავება-შეღებვა	0732031	კონცენტრაცია - სამღებრო სამუშაოების შესრულების მოდული	227
1931	ჭერისა და კედლის შეფითხვნა	0732032	კონცენტრაცია - სამღებრო სამუშაოების შესრულების მოდული	162
1932	ბეტონისა და პოლიმერული სამრეწველო იატაკის მოჭიმვა	0732033	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოები	437
1933	ვინილის ტიპის და რბილი იატაკის ზედაპირის მოჭიმვა	0732034	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოები	360
1934	ზედაპირის მოპირკეთება მოზაიკური ფილებით	0732035	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოები	813
1935	კედლის და იატაკის მომზადება ფილებით მოპირკეთებისათვის	0732036	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოები	754
1936	კედლის და იატაკის მოპირკეთება ფილებით	0732037	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოები	247

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1937	მეტლახის და გრანიტის იატაკის დაგება	0732038	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოები	444
1938	სხვადასხვა სახის იატაკის დაგება (ლამინირებული, ხის)	0732039	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოები	451
1939	ფილის დამუშავება	0732040	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოები	349
1940	ხის იატაკის მოწყობა	0732061	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოები	168
1941	ხაზვა	0810206	საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდული	449
1942	გაცნობითი პრაქტიკა - მებაღეობა	0811101	საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდული	57
1943	მცენარეთა სისტემატიკა	0811102	საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდული	40
1944	დეკორატიული მცენარეები	0811103	საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდული	200
1945	დეკორატიულ მცენარეთა მავნე ორგანიზმების იდენტიფიცირება	0811105	საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდული	93

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1946	ნიადაგების იდენტიფიცირება	0811106	საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდული	118
1947	ნიადაგი და მისი მომზადება	0811108	საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდული	330
1948	ბაღის მოვლა	0811109	საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდული	313
1949	დეკორატიულ მცენარეთა გამრავლება	0811110	საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდული	870
1950	მცენარეთა სხვლა-ფორმირება	0811111	საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდული	206
1951	მცენარეთა დაცვა	0811112	საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდული	219
1952	გაზონის მოწყობა და მოვლა	0811113	საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდული	134
1953	ბაღის საინჟინრო ელემენტების მოწყობა	0811114	საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდული	353
1954	ბაღის მხატვრული ელემენტების მოწყობა	0811115	საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდული	441

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1955	პრაქტიკული პროექტი მებაღეობაში - კონკრეტული ტერიტორიისთვის პროექტის მიხედვით ბაღის მოწყობა	0811116	საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდული	319
1956	საბაღე-საპარკო ხელოვნების ისტორია	0811119	საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდული	58
1957	წინასაპროექტო სამუშაოების ჩატარება	0811120	საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდული	177
1958	ბაღის პროექტის შედგენა	0811121	საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდული	211
1959	ბაღის საინჟინრო ელემენტების დაგეგმარება	0811122	საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდული	212
1960	ბაღის მხატვრული ელემენტების დაგეგმარება	0811123	საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდული	186
1961	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა ArchiCAD	0811124	საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდული	181
1962	რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება (მებაღეობაში)	0811125	საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდული	153
1963	პრაქტიკული პროექტი ბაღის დიზაინერისთვის - კონკრეტული ტერიტორიისთვის ბაღის დიზაინის პროექტის შედგენა	0811126	საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდული	103
1964	საქართველოს ფლორა	0911333	საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდული	45
1965	ცვების ობიექტების მართვა	1011771	პროფესიული მოდული - სარესტორნო მომსახურება	156
1966	გაცნობითი პრაქტიკა - გემბანის რიგითი მეზღვაურისთვის	1040601	პროფესიული მოდული - საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია	55
1967	გემზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა	1040602	პროფესიული მოდული - საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია	245458
1968	გემის ტექნიკური მომსახურება	1040603	პროფესიული მოდული - საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია	267

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1969	ნავიგაცია დამხმარე დონეზე	1040604	პროფესიული საგემბანე ექსპლუატაცია	მოდული - განყოფილების	308
1970	სამღებრო საქმე გემზე	1040605	პროფესიული საგემბანე ექსპლუატაცია	მოდული - განყოფილების	84882
1971	სატვირთო ოპერაციებში მონაწილეობა	1040606	პროფესიული საგემბანე ექსპლუატაცია	მოდული - განყოფილების	90
1972	სპეციალური ინგლისური გემბანის რიგითი მეზღვაურისთვის	1040607	პროფესიული საგემბანე ექსპლუატაცია	მოდული - განყოფილების	177
1973	საზღვაო გზების გეოგრაფია	1040608	პროფესიული საგემბანე ექსპლუატაცია	მოდული - განყოფილების	80
1974	საწარმოო პრაქტიკა - გემბანის რიგითი მეზღვაურისთვის	1040609	პროფესიული საგემბანე ექსპლუატაცია	მოდული - განყოფილების	1104
1975	გაცნობითი პრაქტიკა - სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურისთვის	1040610	პროფესიული გემის სამანქანე ექსპლუატაცია	მოდული - განყოფილების	55
1976	მექანიზმების ტექნიკური მომსახურება/რემონტი	1040612	პროფესიული გემის სამანქანე ექსპლუატაცია	მოდული - განყოფილების	6236
1977	გემის სამანქანე დანადგარების ექსპლუატაცია დამხმარე დონეზე	1040613	პროფესიული გემის სამანქანე ექსპლუატაცია	მოდული - განყოფილების	6304
1978	სამუშაო გარემოსა და მარაგების მართვა	1040614	პროფესიული გემის სამანქანე ექსპლუატაცია	მოდული - განყოფილების	206
1979	სპეციალური ინგლისური - სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურისთვის	1040615	პროფესიული გემის სამანქანე ექსპლუატაცია	მოდული - განყოფილების	177

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №183

2019 წლის 17 ივნისი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონებისა და სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების საფასურის განსაზღვრის, ამ ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესისა და პირობების, აგრეთვე პრივატიზების, რეალიზაციისა და ლიზინგის ფორმით გადაცემის შედეგად ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 15 ივნისის №125 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონებისა და სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების საფასურის განსაზღვრის, ამ ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესისა და პირობების, აგრეთვე პრივატიზების, რეალიზაციისა და ლიზინგის ფორმით გადაცემის შედეგად ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 15 ივნისის №125 ბრძანებით (ვებგვერდი, 16/06/2016, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.033.016876) დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონებისა და სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების საფასურის განსაზღვრის, ამ ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესსა და პირობებს“ (დანართი №1) დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^1 მუხლი:

,,მუხლი 7^1. სხვისი სასაქონლო ნიშნით უკანონოდ ნიშანდებული საქონლის განკარგვა

1. სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 158-ე და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლებით გათვალისწინებული, სხვისი სასაქონლო ნიშნით უკანონოდ ნიშანდებული საქონელი ექვემდებარება განადგურებას დადგენილი წესით, გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქონელი შესაძლებელია რეალიზებულ იქნეს ან განაწილდეს, უფლების მფლობელის/მისი წარმომადგენლის თანხობის შემთხვევაში, თუ სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან მოცილება შესაძლებელია ან თუ სასაქონლო ნიშანი საქონელზე არ არის დატანილი. უფლების მფლობელის/მისი წარმომადგენლის თანხობის მიღება არ არის აუცილებელი, თუ მასთან დაკავშირება ვერ ხერხდება.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ძვირფასი ლითონები, ძვირფასი ქვები და მათინაწარმი შესაძლებელია რეალიზებულ იქნეს, მხოლოდ მათი დაზიანების შედეგად მიღებული ნარჩენების (ძვირფასი ლითონები, ძვირფასი ქვები) სახით.

4. თუ სასაქონლო ნიშნის მოცილებასთან დაკავშირებული სავარაუდო ხარჯები ან/და ქონების ექსპერტიზის/შეფასების სავარაუდო ღირებულება აღემატება საქონლის სავარაუდო ღირებულებას, ქონება განადგურდება დადგენილი წესით.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებას უზრუნველყოფს სააგენტო პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №187

2019 წლის 19 ივნისი, ქ. თბილისი

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016105) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს ცვლილება და 37^{16} მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია ამ წესის 32-ე-37-ე მუხლებით დადგენილი პირობებისა და პროცედურების გაუთვალისწინებლად, ჩამოწეროს დაუძლეველი ძალის (მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი, ხანძარი, ავარია ან სხვა საგანგებო ან განსაკუთრებული გარემოება, რომლის შედეგადაც გადასახადის გადამხდელისაგან დამოუკიდებელი მიზეზით განადგურდა/დაიკარგა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები) ზემოქმედების შედეგად განადგურებული/დაკარგული, მათ შორის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 145-ე მუხლის 6^{1} ნაწილის ძალაში შესვლამდე განადგურებული/დაკარგული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №199

2019 წლის 28 ივნისი, ქ. თბილისი

„სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებაში (ვებგვერდი, 31/12/2014, სარეგისტრაციო კოდი: 200250000.22.033.016708) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ორგანიზაცია ვალდებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების მონაცემები სისტემაში განათავსოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ხელშეკრულების ატვირთვიდან მომდევნო კალენდარულ დღემდე. მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ორგანიზაციას შეუჩერდება სისტემაში ყველა სახის ახალი საგადახდო მოთხოვნის რეგისტრაცია, გაფორმებული ხელშეკრულების მონაცემების სისტემაში განთავსებამდე. გამონაკლის შემთხვევაში, ორგანიზაციის არგუმენტირებული, წერილობითი/ელექტრონული ფოსტით მომართვის საფუძველზე შესაძლებელია საგადახდო მოთხოვნის რეგისტრაცია სახაზინო სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №98/04

2019 წლის 18 ივნისი, ქ. თბილისი

,,მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 აპრილის №59/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 აპრილის №59/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 05/04/2018; ს/კ: 220090000.18.011.016293) დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ლიკვიდაციის პროცესის ხანგრძლივობა განისაზღვრება ლიკვიდაციის პროცესში მყოფი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ვალდებულებების გასტუმრების ხანგრძლივობით, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციის აქტივების რეალიზაციასა და სასამართლო საქმეების დასრულების ვადებზე. ლიკვიდაციის პროცესი ვერ დასრულდება, თუ არსებობს მიმდინარე სასამართლო საქმეები, გარდა ამავე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი შემთხვევისა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №99/04

2019 წლის 18 ივნისი, ქ. თბილისი

„საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 დეკემბრის №287/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 დეკემბრის №287/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 28/12/2018; ს/კ: 200090000.18.011.016367) დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ლიკვიდაციის პროცესის ხანგრძლივობა განისაზღვრება სალიკვიდაციო პროვაიდერის ვალდებულებების გასტუმრების ხანგრძლივობით, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია პროვაიდერის აქტივების რეალიზაციასა და სასამართლო საქმეების დასრულების ვადებზე. ლიკვიდაციის პროცესი ვერ დასრულდება, თუ არსებობს მიმდინარე სასამართლო საქმეები, გარდა ამავე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი შემთხვევისა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №100/04

2019 წლის 18 ივნისი, ქ. თბილისი

„კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 16 მარტის №46/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 16 მარტის №46/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 16/03/2018; ს/კ: 220090000.18.011.016285) დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ლიკვიდაციის პროცესის ხანგრძლივობა განისაზღვრება სალიკვიდაციო ბანკის ვალდებულებების გასტუმრების ხანგრძლივობით, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია ბანკის აქტივების რეალიზაციასა და სასამართლო საქმეების დასრულების ვადებზე. ლიკვიდაციის პროცესი ვერ დასრულდება, თუ არსებობს მიმდინარე სასამართლო საქმეები, გარდა ამავე მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი შემთხვევისა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №105/04

2019 წლის 24 ივნისი, ქ. თბილისი

„კომერციულ ბანკებში კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 17 ივნისის №49/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ” საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 30 მაისის №91/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„კომერციულ ბანკებში კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 17 ივნისის №49/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ” საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 30 მაისის №91/04 ბრძანების (www.matsne.gov.ge; 31/05/2019; ს/კ: 220010000.18.011.016390) მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 3. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 1 ნოემბრიდან.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №106/04

2019 წლის 24 ივნისი, ქ. თბილისი

„მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №143/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 30 მაისის №90/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №143/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 30 მაისის №90/04 ბრძანების (www.matsne.gov.ge; 31/05/2019; ს/კ: 220090000.18.011.016389) მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 3. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 1 ნოემბრიდან.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №107/04

2019 წლის 24 ივნისი, ქ. თბილისი

„სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 სექტემბრის №217/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 30 მაისის №89/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 სექტემბრის №217/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 30 მაისის №89/04 ბრძანების (www.matsne.gov.ge; 31/05/2019; ს/კ: 220010020.18.011.016388) მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 3. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 1 ნოემბრიდან.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №110/04

2019 წლის 25 ივნისი, ქ. თბილისი

„კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის №92/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის №92/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 23/06/2017, ს.კ: 220020000.18.011.016245) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს ცვლილება და წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ბანკები ვალდებული არიან 2019 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყონ ამ წესის მე-4 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გამჟღავნების მოთხოვნების ეფექტური შესრულება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №111/04

2019 წლის 26 ივნისი, ქ. თბილისი

„გადარიცხვის თანმხლები ინფორმაციის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 30 ნოემბრის №253/04 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადარიცხვის თანმხლები ინფორმაციის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 30 ნოემბრის №253/04 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 30/11/2018; ს/კ: 220010040.18.011.016353) შეტანილ იქნას ცვლილება და:

1. **ბრძანების** მე-2 **მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი** რედაქციით:

„**მუხლი** 2.**ეს ბრძანება ამოქმედდეს** 2019 **წლის** 1 **ნოემბრიდან**.“.

2. **ბრძანებით დამტკიცებული დებულების**:

ა) მე-2 **მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი**:

„ე) პაკეტური ფაილი – გაგზავნის მიზნით შექმნილი ერთზე მეტი ინდივიდუალური გადახდის ოპერაციის ერთობლიობა.“;

ბ) მე-3 **მუხლის**

ბ.ა) მე-2 **პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი** რედაქციით:

„ა.გ) გადამხდელის მისამართი ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის/პასპორტის ნომერი ან პირის საიდენტიფიკაციო ნომერი ან დაბადების თარიღი და ადგილი;“;

ბ.ბ) მე-6 **პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის** მე-7 **პუნქტი**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„7. ერთი გადამხდელის გადახდის ოპერაციების პაკეტური ფაილის სახით შესრულებისას, როდესაც მიმღებების საგადახდო მომსახურების პროვაიდერი (პროვაიდერები) არ არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, პაკეტური ფაილის შემადგენელი თითოეული ინდივიდუალური გადახდის ოპერაცია შეიძლება შეიცავდეს გადამხდელის შესახებ ამ მუხლის მე-2 პუნქტის მხოლოდ „ა.ბ“ ქვეპუნქტში გათვალისწინებულ ინფორმაციას, თუ ამავდროულად გადახდის ოპერაციების პაკეტური ფაილი შეიცავს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას და გადამხდელის მიმართ შესრულებულია ამ მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნა.“;

გ) მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიმღების პროვაიდერი ვალდებულია დანერგოს ეფექტური პროცედურები, რომელთა საშუალებით დროის რეალურ რეჟიმში ან შემდგომი მონიტორინგის გზით განახორციელებს მიღებულ გადარიცხვებში (შემდგომში – ჩარიცხვები) გადამხდელსა და მიმღებზე შემდეგი ინფორმაციის არსებობის შემოწმებას:

ა) თუ გადახდის ოპერაციის შესრულებაში მონაწილე ყველა პროვაიდერი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკები ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერები ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებია – გადამხდელის და მიმღების ანგარიშის ნომრები (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, ტრანზაქციის უნიკალური კოდი);

ბ) თუ გადახდის ოპერაციის შესრულებაში მონაწილე გადამხდელის ან შუამავალი პროვაიდერი არ არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და გადარიცხვის ოპერაციის თანხა ან დაკავშირებული გადარიცხვის ოპერაციების ჯამური თანხა აღემატება 1000 ევროს ან 1000 აშშ დოლარს ან 3000 ლარს ან ამ უკანასკნელის ეკვივალენტს სხვა უცხოურ ვალუტაში, მაშინ გადამხდელის შესახებ ამ დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ა“ და „ა.ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ყველა, ასევე, „ა.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულიდან ერთ-ერთი ინფორმაცია, ხოლო, მიმღების შესახებ – ამ დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია;

გ) თუ გადახდის ოპერაციის შესრულებაში მონაწილე გადამხდელის ან შუამავალი პროვაიდერი არ არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და გადარიცხვის ოპერაციის თანხა არ აღემატება 1000 ევროს ან 1000 აშშ დოლარს ან 3000 ლარს ან ამ უკანასკნელის ეკვივალენტს სხვა უცხოურ ვალუტაში, მაშინ ამ დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ა“, „ა.ბ“ და „ბ“ ქვეპუნქტებში გათვალისწინებული ინფორმაცია.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შუამავალი პროვაიდერი ვალდებულია დანერგოს ეფექტური რისკზე დამყარებული პროცედურები, რომელთა საშუალებით განახორციელებს გადარიცხვებში გადამხდელსა და მიმღებზე ამ დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის არსებობის დადგენას დროის რეალურ რეჟიმში ან შემდგომი მონიტორინგის გზით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №112/04

2019 წლის 27 ივნისი, ქ. თბილისი

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეთა მიმართ ფულადი ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრების და აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 14 თებერვლის №35/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეთა მიმართ ფულადი ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრების და აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 14 თებერვლის №35/04 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 17/02/2012, სარეგისტრაციო კოდი: 220010020.18.011.016067) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების:

1. **სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„პირების მიმართ, ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის დარღვევისთვის, ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრების და აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“.

2. **პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 52-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე და 55[1] მუხლებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად“.

3. **პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 1. დამტკიცდეს პირების მიმართ ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის დარღვევისთვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრების და აღსრულების წესი თანდართული რედაქციით.“.

4. **პირველი მუხლით დამტკიცებული პირების მიმართ, ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის დარღვევისთვის, ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრების და აღსრულების წესის:**

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პირების მიმართ, ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის დარღვევისთვის, ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრების და აღსრულების წესი“;

ბ) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი განსაზღვრავს პირების მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – ეროვნული ბანკი) მიერ ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების საკითხებს.

2. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობები.

3. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია პირების, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეების და/ან მათი მმართველი ორგანოს წევრის მიმართ გამოიყენოს ამ წესით დადგენილი ფულადი ჯარიმები, თუ პირმა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილემ და/ან მისი მმართველი ორგანოს რომელიმე წევრმა დაარღვია ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა, ეროვნული ბანკის ინსტრუქცია, დებულება, წესი, მოთხოვნები და/ან წერილობითი მითითებები, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები (მხოლოდ იმ ანგარიშვალდებული საწარმოს შემთხვევაში, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივი დაინტერესების პირს (სდპ)).

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. პირებისათვის ფულადი ჯარიმის დაკისრების თაობაზე ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების სახით, რომელშიც მითითებული იქნება ჯარიმის აღსრულების წესი.

5. ჯარიმა გადახდილი უნდა იქნეს დაჯარიმების შესახებ განკარგულების ასლის ან „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული ელექტრონული წესით განკარგულების მხარისათვის ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

6. პირებისათვის ფულადი ჯარიმის დაკისრების იძულებითი აღსრულება ხორციელდება ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ.

7. პირებისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაკისრებული ფულადი ჯარიმის იძულებით აღსასრულებლად მიქცევა ხდება კანონიერ ძალაში შესული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად გაცემული სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე, „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

8. პირის მიერ გადახდილი ფულადი ჯარიმის თანხა მიემართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

9. ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილესათვის ლიცენზიის გაუქმება, პირს არ ათავისუფლებს დაკისრებული ფულადი ჯარიმის გადახდისაგან.“;

გ) მე-3 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. ანგარიშვალდებული საწარმოსა და სხვა პირების მიერ ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევა“.

დ) მე-4 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. პირების მიერ ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის წესებისა და სხვა წესების დარღვევა“;

ე) მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პირების მიმართ ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების სახით, რომელშიც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ აუცილებელ რეკვიზიტებთან ერთად მითითებული იქნება მისი აღსრულების წესი.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2.

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №103/ნ

2019 წლის 7 ივნისი, ქ. თბილისი

„ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 8 ივნისის №113/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონის (№3024-რს) მე-2 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტებისა და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 63^{8} მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 8 ივნისის №113/ნ ბრძანების (www.matsne.gov.ge, 08/06/2012, 430010000.22.022.016379) პირველი პუნქტით დამტკიცებულ „ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის გაცემის წესში“ (დანართი 1) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და:

1. მე-2 მუხლის:

ა) პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„4. სკოლა ვალდებულია იმ პირთა სია, რომლებმაც დაძლიეს საბაზო და/ან საშუალო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონე, მიაწოდოს სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (შემდგომში – საინფორმაციო სისტემა) სასწავლო წლის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.“;

გ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 და მე-6 პუნქტები:

„5. სკოლა ვალდებულია იმ პირთა სია, რომლებმაც საბაზო და/ან საშუალო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონე დაძლიეს ექსტერნატის, სემესტრული, საშემოდგომო ან წლიური გამოცდების შედეგად, მიაწოდოს საინფორმაციო სისტემას შესაბამისი გამოცდების შედეგების დამტკიცებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

6. საინფორმაციო სისტემა სკოლებიდან წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ქმნის ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების უფლების მქონე პირების მონაცემთა ელექტრონულ ბაზას (შემდგომში - მონაცემთა ელექტრონული ბაზა), რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: მოსწავლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი (არსებობის შემთხვევაში), დაბადების თარიღი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება და მოსწავლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის წელი.“.

2. მე-3 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მიღების უფლება აქვს პირს, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით დაძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიღწევის დონეს.“;

გ) მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. მე-11 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. იმ პირებზე, რომლებმაც „ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 5 მარტის №15/ნ ბრძანების შესაბამისად სრული ზოგადი განათლების დამამთავრებელი კლასის და ამ კლასში შემავალი ცალკეული საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაუძლევლობის გამო ვერ მოიპოვეს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და შესაბამისი საგანი/საგნები არ შედიოდა სკოლის გამოსაშვები გამოცდების იმ საგანთა ჩამონათვალში, რომელთა დაძლევა 2019 წლის 11 აპრილამდე მოქმედი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოადგენდა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების საფუძველს, სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი გაიცემა განაცხადისა და საბოლოო შეფასების უწყისის მიხედვით შედგენილი მოსწავლეთა საშუალო საფეხურის სახელობითი ნუსხის საფუძველზე.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4-მე-8 პუნქტები:

„4. იმ პირებზე, რომლებმაც 2018-2019 სასწავლო წლის დაწყებამდე დაძლიეს ზოგადი განათლების საშუალო საფეხური და რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ სკოლის გამოსაშვებ გამოცდებში, გაიცემა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – ატესტატი.

5. იმ პირებზე, რომლებმაც 2018-2019 სასწავლო წლის დაწყებამდე დაძლიეს ზოგადი განათლების საშუალო საფეხური და მონაწილეობა მიიღეს სკოლის გამოსაშვებ გამოცდებში, მაგრამ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – ატესტატის მოპოვებისათვის საჭირო საგნებში დადებითი შეფასება ვერ მიიღეს, გაიცემა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – ატესტატი.

6. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული პირები სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – ატესტატის მისაღებად ტერიტორიულ სამსახურს მიმართავენ 2019 წლის დასრულების შემდეგ, მიიღებენ ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის დუბლიკატს.

7. იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა ელექტრონული ბაზა არ შეიცავს ინფორმაციას ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ პირებზე, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, სკოლა უფლებამოსილია მიმართოს საინფორმაციო სისტემას და მოითხოვოს დაინტერესებული პირის შესახებ ინფორმაციის ასახვა მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში.

8. საინფორმაციო სისტემა ამ მუხლის მე-7 პუნქტით მოწოდებულ ინფორმაციას გადაამოწმებს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებულ ინფორმაციასთან და მოწოდებული ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში, ასახავს ინფორმაციას მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და

სპორტის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

მიხეილ გიორგაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №131/ნ

2019 წლის 24 ივნისი, ქ. თბილისი

„საგნის გამოცდის ჩატარების, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 14 მარტის №46/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონის (დოკუმენტის ნომერი: 3024-რს) მე-2 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საგნის გამოცდის ჩატარების, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 14 მარტის №46/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 14/03/2017; სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.017296) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „საგნის გამოცდის ჩატარების, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების წესის“:

1. **მე-7 მუხლის**:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ტესტირების ჩატარებას კოორდინაციას უწევს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო).“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება და სამინისტრო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები – საგანმანათლებლო რესურსცენტრები (შემდგომში – რესურსცენტრი) ვალდებულნი არიან ცენტრის მიმართვის შემთხვევაში უზრუნველყონ ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობს ტესტირებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა რეგისტრაციასა და ტესტირების ჩატარებას.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. 28-ე მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარება გულისხმობს ტესტში, ცენტრის წარდგინებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) მიერ დადგენილი ოდენობის ქულების დაგროვებას.“;

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ტესტირების ჩატარებამდე არაუგვიანეს 2 თვისა.“.

3. 29-ე მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 30-ე მუხლი:

„მუხლი 30. 2019 წელს ჩასატარებელი საგნის გამოცდები

2019 წელს ჩასატარებელი საგნის გამოცდებისათვის:

ა) ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირებისთვის ტესტირებაზე რეგისტრაცია მოიცავს მხოლოდ ამ წესის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ რეგისტრაციას;

ბ) ტესტირებაში მონაწილეობას მიიღებს და ამ წესის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ სიებში გათვალისწინებული იქნება ის აპლიკანტი, რომელიც ამ წესის შესაბამისად, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში დარეგისტრირდება და წარმატებით დაძლევს საგნის გამოცდას;

გ) 28-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ტესტირების ჩატარებამდე არაუგვიანეს 1 თვისა.".

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის მინისტრი

მიხეილ ბატიაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №132/ნ

2019 წლის 25 ივნისი, ქ. თბილისი

„ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 210211, 21/02/2011; სარეგისტრაციო კოდი: 430010000.22.022.016055) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების:

1. პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ (დანართი №1):

ა) მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) რესურსცენტრი – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი განათლების, სამინისტროს ტერიტორიული ორგანო – საგანმანათლებლო რესურსცენტრი;“;

ბ) მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. აბიტურიენტის მიერ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მოპოვების თაობაზე ცენტრი ეყრდნობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან, სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროდან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციას – სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციიდან მოწოდებულ ინფორმაციას.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას კოორდინაციას უწევს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.“;

დ) მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ტესტირება თითოეულ საგანში ჩატარდება ერთ ან რამდენიმე სესიად, ერთდროულად ყველა საგამოცდო ცენტრში, ცენტრის წარდგინებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული განრიგის შესაბამისად.“;

ე) მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ტესტირებაზე რეგისტრაციის დასრულების შემდეგ აბიტურიენტი გამოცდაზე არ დაიშვება.“;

ვ) 36^1 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან – აბიტურიენტის მიერ საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მოპოვების თაობაზე;“;

ზ) 37-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე, იმ აბიტურიენტის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას, რომელმაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიმართა სტუდენტებისთვის სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მოპოვების მიზნით.“;

თ) 39-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საგანმანათლებლო დაწესებულებაში აბიტურიენტის ჩარიცხვა ფორმდება საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის ერთიანი აქტით, რომელიც გამოიცემა არაუგვიანეს პირველი ოქტომბრისა და იგზავნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, გამოცემიდან 15 დღის ვადაში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

6. ის პირი, რომელიც შესულია ამ დებულების 37-ე მუხლით გათვალისწინებულ რანჟირების დოკუმენტში, მაგრამ ვერ მოხვდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ რექტორის ერთიან აქტში დადგენილ ვადაში დაწესებულებისათვის არმიმართვის გამო, უფლებამოსილია მიმართოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ჩარიცხვის მოთხოვნით რექტორის ერთიანი აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის ივნისამდე. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორი ვალდებულია ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი მოთხოვნების მხედველობაში მიღებით დააკმაყოფილოს პირის მოთხოვნა და გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ისე რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. რექტორის აქტი იგზავნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, გამოცემიდან 15 დღის ვადაში. ამ გზით პირის ჩარიცხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამორიცხავს მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოყენების შესაძლებლობას.“.

2. პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის“ (დანართი №2) მე-8 მუხლის 3^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3^1. ცენტრი უზრუნველყოფს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე, იმ აბიტურიენტის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას, რომელმაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიმართა სტუდენტებისთვის სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მოპოვების მიზნით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის მინისტრი

მიხეილ ბატიაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №133/ნ

2019 წლის 27 ივნისი, ქ. თბილისი

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონის (დოკუმენტის ნომერი: 3024-რს) მე-2 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებაში (სსმ, №8, 23/01/2006, სარეგისტრაციო კოდი: 430.010.000.22.022.008.031) და ბრძანების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დანართ №2-ს 24-ე გრაფის შემდეგ დაემატოს 25-29 გრაფები შემდეგი შინაარსით:

25	ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
26	ქალაქ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
27	ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
28	ვაკე-საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
29	ისანი სამგორის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

ირინე აბულაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

i n s t r u q c i a

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №194

2019 წლის 24 ივლისი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებული ინსტრუქციის მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. შემოსავლების სამსახურის სისტემის სტაჟიორი უფლებამოსილია სტაჟირების გავლისას გაეცნოს საგადასახადო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას, სტაჟირების პროცესში მიღებული დავალების ფარგლებში.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

Semosavlebis samsaxuris brZaneba

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №21077

2019 წლის 26 ივნისი ქ. თბილისი

„ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ბუნებრივი დანაკარგის ნორმების დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2018 წლის 6 აგვისტოს №20839 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ბუნებრივი დანაკარგის ნორმების დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2018 წლის 6 აგვისტოს №20839 ბრძანებით დამტკიცებული „ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ბუნებრივი დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ნორმები“ (დანართი №2) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სამსახურის უფროსი

ვახტანგ ლაშქარაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი№2

ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ბუნებრივი დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ნორმები

ოპერაციების დასახელება	დანაკარგი წონიდან %-ში
ბენზინზე	
საზღვაო გადაზიდვები	0.35
სარკინიგზო გადაზიდვები	0.24
საავტომობილო გადაზიდვები	0.12
რეზერვუარში შენახვა (მიწისზედა რეზერვუარში 1 თვეზე მეტი ვადით შენახვის გარდა	0.25
მიწისზედა რეზერვუარში შენახვა 1 თვეზე მეტი ვადით	0.35
ნედლ ნავთობზე	
სარკინიგზო გადაზიდვები	0.04
შენახვა	0.077
დიზელზე	
საზღვაო გადაზიდვები	0.35
სარკინიგზო გადაზიდვები	0.1
საავტომობილო გადაზიდვები	0.05
რეზერვუარში შენახვა	0.07
ნავთზე	
საზღვაო გადაზიდვები	0.35
სარკინიგზო გადაზიდვები	0.11
საავტომობილო გადაზიდვები	0.06
რეზერვუარში შენახვა	0.1
მაზუთზე	
სარკინიგზო გადაზიდვები	1.05
საპობ ზეთზე	
სარკინიგზო გადაზიდვები	0.10

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №21078

2019 წლის 26 ივნისი, ქ. თბილისი

ცალკეულ საქონელზე ბუნებრივი დანაკარგის ნორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-11 ნაწილის, „დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების დამდგენი უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №2547 განკარგულების პირველი პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**:

1. დამტკიცდეს ცალკეულ საქონელზე ბუნებრივი დანაკარგის ნორმები, ამ ბრძანების №1 დანართის შესაბამისად.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების შემმუშავებელი კომისიის 2019 წლის 25 ივნისის №73200-21-03 სხდომის ოქმი.

სამსახურის უფროსი

ვახტანგ ლაშქარაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №1

ცალკეულ საქონელზე ბუნებრივი დანაკარგის მაქსიმალური

ზღვრული ნორმები

ოპერაციების დასახელება	დანაკარგი წონიდან %-ში
პროპილისა და იზოპროპილის სპირტი	
სარკინიგზო გადაზიდვები	0,80
მეთილის სპირტი	
სარკინიგზო გადაზიდვები	0,15
პარაქსილოლი	
სარკინიგზო გადაზიდვები	0,30
პიროლიზული ფისი	
სარკინიგზო გადაზიდვები	1,00
ვაკუუმური გაზოილი	
სარკინიგზო გადაზიდვები	0,60
ბუნებრივი აირის კონდენსატი	
სარკინიგზო გადაზიდვები	0,75
გათხევადებული ბუნებრივი აირი	
სარკინიგზო გადაზიდვები	0,90
შენახვა	1,10

შენიშვნა: *შენახვის დანაკარგი ასევე მოიცავს მიღებისა და გაცემის დანაკარგს.*

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ

გადასახადები

მეწარმეების, სამაღასახადო
ინსპექტორების, აუდიტორების,
ბუღალტრებისა და ყველა მაღამხდელის
უნივერსალური სამამიდო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს 'ბიზნეს ინტელექტი"
მიმღების IBAN ანგარიშის
№ GE67TB332136020100005

მიმღების ბანკი: ს.ს „თიბისი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com